

გამოყენების ინსტრუქცია

კაპსიკამი®

(Kapsikam®)

სამკურნალო საშუალების დასახელება
კაპსიკამი®

ზოგადი დახასიათება

საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება: არ არსებობს
აღწერილობა

თეთრი ან თეთრი, მსუბუქი მოყვითალო ფერის ელფერის მქონე მალამო ქაფურის და სკიპიდარის სუნით.

სამკურნალო საშუალების შემადგებლობა

1 გ მალამო შეიცავს 50მგ დიმეთილსულფოქსიდს, 30 მგ რაცემიულ ქაფურს, 30 მგ სკიპიდარს, 20 მგ **ბენზილნიკოტინატს** და 2 მგ ნონივამიდს.

დამხმარე ნივთიერებები: ემულგირებადი ცეტოსტეარილის სპირტი (ტიპი A), ნატრიუმის ცეტილსტეარილსულფატი, პოლისორბატი-80, ბრონოპოლი და გასუფთავებული წყალი.

გამოშვების ფორმა

მალამო გარეგანი გამოყენებისათვის.

სამკურნალო საშუალების კლასიფიკაციის კოდი

პრეპარატი ადგილობრივი გამოყენებისათვის სახსროვანი და კუნთოვანი ტკივილის დროს.

კოდი ATX:M02AX92

ფარმაკოლოგიური თვისებები

ფარმაკოდინამიკა

პრეპარატი შეიცავს ნივთიერებებს, რომელთაც გააჩნიათ სისხლძარღვების გამაფართოებელი და მგრძობიარე ნერვული დაბოლოებების გამაღიზიანებელი მოქმედება, რის გამოც იგი ახდენს ადგილობრივ გამაღიზიანებელ, გამახურებელ და ტკივილგამაყუჩებელ მოქმედებას.

კანის ადგილობრივი გაღიზიანება ხდება ზურგის ტვინის იმავე სეგმენტებით მოინერვირე შინაგანი ორგანოების შერჩევითად სისხლმომარაგებისა და ტროფიკის შეცვლის მიზეზი.

ზურგის ტვინის შესაბამის სეგმენტში გაღიზიანება იწვევს ანტინოციცეპტიური სისტემის დამატებით აქტივაციას, რაც ხელს უშლის ტკივილის იმპულსების გატარებას თავის ტვინის ქერქში და შესაბამისად აუმჯობესებს ტკივილის ატანას.

ფარმაკოკინეტიკა

სწრაფად შეიწოვება და რამდენიმე წუთის შემდეგ იწყება მოქმედება- სუსტი წვის შეგრძნება, კანის შეწითლება, სითბოს შეგრძნება; მცირდება კუნთოვანი დაჭიმულობა და ტკივილის შეგრძნება. კანის ტემპერატურა იმატებს 1-2°C-ით 2-3 საათის განმავლობაში. ტკივილგამაყუჩებელი მოქმედებას იწყება 30-40 წუთის შემდეგ და გრძელდება 3-6 საათის განმავლობაში. ტემპერატურის

მომატება და სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესება ახდენს დადებით ზეგავლენას რევმატიული მდგომარეობის დროს, კუნთის დაჭიმულობის, ღრძობის და სხვა სპორტული ტრავმების დროს. განმეორებითი გამოყენებისას მოქმედება შენარჩუნებულია 10-14 დღის განმავლობაში.

გამოყენების ჩვენებები

ტკივილგამაყუჩებელი და გამახურებელი საშუალება კუნთოვანი და სახსროვანი ტკივილებისას.

გამოყენების მეთოდი და დოზირება

მაღაღო გარეგანი გამოყენებისათვის.

გამახურებელი ეფექტის მისაღებად სპორტსმენებში: 2-3 გრამი მაღაღო კაპსიკაში აპლიკატორის მეშვეობით დაიტანება და შეიზილება კუნთოვან მიღამოში კანის სუსტ გაწითლებამდე. ვარჯიშის შემდეგ მაღაღო უნდა ჩამოიბანოს გრილი წყლით.

ტკივილის შესამსუბუქებლად: მტკივნეულ ადგილას მაღაღო დაიტანება 1-3გ ოდენობით დღეში 2-3-ჯერ (ტკივილის ინტენსივობის მიხედვით), რის შემდეგაც აფიქსირებენ ნახვევით გამახურებელი ეფექტის გასაძლიერებლად.

მკურნალობის კურსის დროს რეკომენდებულია 1-2 ტუბი (50-100 გ) მაღამოს გამოყენება.

ყოველი პროცედურის შემდეგ რეკომენდებულია ხელების დაბანა საპნითა და ნელ თბილი წყლის მეშვეობით.

პელიატრიაში გამოყენების გამოცდილება არ არსებობს (იხ. განყოფილება სიფრთხილის ზომები).

გვერდითი მოქმედება

მაღამოს კომპონენტებისადმი კანის მომატებული მგრძნობელობისას შეიძლება გაჩნდეს ქავილი, შეშუპება ან ჭინჭრის ციება. აღნიშნული ნიშნები პრეპარატის მიღების შეწყვეტიდან 8-12 საათის შემდეგ ქრება.

უკუჩვენებები

მაღამო კაპსიკაში ® არ გამოიყენება კანის დაავადებების, კანის საფარის მთლიანობის დარღვევის და მასში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ მომატებული მგრძნობელობის დროს.

ჭარბი დოზირება

სიმპტომები: მაღამოს დიდი დოზით დატანების შემთხვევაში შესაძლოა განვითარდეს კანის გაწითლება, მსუბუქი გარდამავალი ქავილი ან წვის შეგრძნება.

მკურნალობა: რეკომენდირებულია მაღამოს ჩამოიბანა კანიდან გრილი წყლით. მაღამოს შემთხვევით ჩაყლაპვის შემთხვევაში მიმართეთ ექიმს. თან იქონიეთ პრეპარატის შეფუთვა.

სიმპტომები: ღებინება და დიარეა. დიდი რაოდენობით მაღამოს შემთხვევითი გადაყლაპვისას შესაძლოა გაჩნდეს მწვავე მოწამვლის სიმპტომები: გულისრევა, ღებინება, ტკივილი მუცლის არეში და თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, სითბოს/სიცხის შეგრძნება, გულყრები, სუნთქვის დათრგუნვა და კომა.

მკურნალობა: სიმპტომურია. მძიმე მოწამვლისას არ შეიძლება ღებინების გამოწვევა.

სიფრთხილის ზომები

არ დაიტანება დაზიანებულ კანზე. ძლიერი გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად არ უნდა მოხვედეს ლორწოვან გარსზე და თვალში.

პრეპარატის გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ მცირე ხნის განმავლობაში არაა რეკომენდირებული სითბური პროცედურების ჩატარება (აბაზანის მიღება, აბანოში ყოფნა), რადგანაც ამან შესაძლოა გამოიწვიოს ფორების გახსნა და შემდეგ კანის წვის შეგრძნება.

დამხმარე ნივთიერება: **emulgirebadi** ცეტოსტერილის სპირტმა (ტიპი A) და ბრონოპოლმა შესაძლოა გამოიწვიოს კანის ადგილობრივი რეაქციები (მათ შორის, კონტაქტური დერმატიტი).

ხმარების წინ რეკომენდირებულია მაღამოს მცირე ოდენობით დატანება კანზე მგრძობელობის დასადგენად.

ორსულობა და ძუძუთი კვება

არაა რეკომენდირებული პრეპარატის უსაფრთხოებაზე კლინიკური მონაცემების არარსებობის გამო.

გაველენა სატრანსპორტო საშუალებების მართვისა და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე გაველენას არ ახდენს.

ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან

არ აღინიშნება

შენახვის პირობები

ინახება არაუმეტეს 25⁰C ტემპერატურაზე. არ გაყინოთ.

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

შენახვის ვადა

შენახვის ვადა 2 წელი

შეფუთვაზე აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეპარატის გამოყენება დაუშვებელია

აფთიაქიდან გაცემის წესი: ფარმაცევტული პროდუქტის ჯდუფი III (გაიცემა ექიმის რეცეპტის გარეშე ინსტრუქციის შესაბამისად).

შეფუთვა

30გ ან 50გ მაღამო ალუმინის ტუბში მუყაოს კოლოფში აპლიკატორთან და გამოყენების ინსტრუქციასთან ერთად.

სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელი

ს.ს."გრინდექსი" კრუსტპილსის ქ.53, რიგა LV-1057 ლატვია

ტელეფონი: +371 67083205

ფაქსი: +371 67083505

ელ-ფოსტა: grindeks@grindeks.lv

მწარმოებელი

ს.ს. "ტალინის ფარმაცევტული ქარხანა" ტონდი 33, 11316 ტალინი, ესტონეთი